პროლეტარიელ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 190 (3674)

26 სექტემბერი. ხუთშაბათი. 1968 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საპარაშუტო სპორტის სნაიპერები

ახალი რეკორდებით აღინიშნა ამერიკაკასიის ერთ-ერთ აეროდრომზე პარაშუტით ხტომაში ახლახან გამართული ასპარეზობა. შეჯიბრება ჩატარდა ღამით. ტურნირში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების პარაშუტისტები. სპორტის ოსტატებმა ნ. სკრიპკინმა, ა. სავინმა და გ. სუხანოვმა 2000 მეტრიდან ზუსტ დაშვებაში დაამყარეს ახალი მსოფლიო რეკორდი: საშუალო გადახრა არ აღემატებოდა 10 სანტიმეტრს.

სპორტსმენთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ დ. კოგუტი, ა. ბროვკო, ა. სავინი, ვ. კონდრაშოვი და ვ. ბელოუსი 1500 მეტრიდან კომბინირებულ ხტომაში, ცენტრიდან საშუალოდ 49 სანტიმეტრის დაშორებით დაეშვა. ამავე სიმაღლიდან ხტომაში ქალთა გუნდმა (ნ. ბუბონი, ლ. ობუხოვა, ლ. ნარუტი-ლეონოვა, ს. ეფანოვა და მ. ბარანოვსკაია) აჩვენა ცენტრიდან 2,57 მეტრი საშუალო გადახრა. ეს შედეგიც ახალი მსოფლიო მიღწევაა. მფრინავმა-შტურმანმა, სპორტის ოსტატმა ს. კუჩენოვმა კი 1000 მეტრი სიმაღლიდან ზუსტად დაშვებაში (ერთეულთა ხტომა) გაუმჯობესა საკავშირო რეკორდი (გადახრა 1,55 მეტრი).

რთული ამოცანის წინაშე იყვნენ ვაჟთა ოთხეულები. მათ უნდა მოეხსნათ ამერიკელთა მსოფლიო რეკორდი 2000 მეტრიდან ხტომაში (გადახრა — 0,6 მეტრი). პირველმა ჯგუფმა საწადელს ვერ მიაღწია, მაგრამ მეორემ — დ. კოგუტი, გ. სუხანოვი, ვ. კონდრაშოვი და ვ. ბელოუსი ამერიკელთა რეკორდი მნიშვნელოვნად გაუმჯობესა (გადახრა — 0,37 მეტრი). იმავე ღამეს ამერიკელთა კიდევ ერთი რეკორდი დაეცა: 9 სპორტსმენისგან შემდგარმა ჯგუფმა 2000 მეტრიდან კომბინირებულ ხტომაში შესანიშნავ შედეგს მიაღწია: გადახრა სულ რაღაც 0,74 მეტრი იყო.

(საკდესი).

# პირველი და მეხუთე

კრასნოდარში ორ დღეს გაგრძელდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი ტყვიის სროლაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა საქართველოს გუნდიც, რომელმაც საბოლოოდ V ადგილი დაისაკუთრა. დიდი წარმატება ხვდა ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა გუნდს მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში. „კოლმეურნის“ წარგზავნილებმა 1747 ქულა დაგროვეს და 5 ქულით გაუსწრეს მეორე პრიზიორს — რსფსრ-ს გუნდს. პირად პირველობაშიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ისახელა თავი — ბათუმელმა ვ. პელენიოვმა 600-დან 589 ქულა დააგროვა და ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას რსფსრ-ს სპორტსმენებმა აჯობეს. II ადგილზე გავიდა უსტონეთის, III — ბელორუსიის ნაკრები.

თ. ლეკიშვილი,
სპორტის ოსტატი.

# კორჩნოი არ ყრის ფარ-ხმალს



**კიევი, 24 სექტემბერი.** ისე, როგორც ბ. სპასკი — ვ. კორჩნოის მატჩის ყველა შეხვედრაში, IX პარტიაც მძაფრი ბრძოლით დაიწყო. ლაზიერის გამბიტში სპასკიმ გამხოლოებული პაიკი მიიღო, სამაგიეროდ მეტოქის გვირგვინოსანს იერიშით დაემუქრა.

კორჩნოის, როგორც, იტყვიან, უკანდასახევი გზა აღარ აქვს. მაგრამ მაინც არ ყრის ფარ-ხმალს, თავგამოდებით იბრძვის გამარჯვებისთვის. ამ დღესაც საფრთხეს ვაჟკაცურად შეხვდა.

და აი, სპასკიმ იმის ნაცვლად, რომ თავისი ლაშქარი დაეძრა კორჩნოის მეფის სიმაგრეებისკენ, მოულოდნელად თამაშის გამარტივებას მიჰყო ხელი. რა იყო ეს, ვერავინ მიხვდა. პრეს-ცენტრში თქვეს, სპასკის გვიან გაახსენდა, რომ ყაიმებიც ყოფნის მატჩის მოსაგებად. ყოველ შემთხვევაში მისი გადაწყვეტილება მცდარი გახლდათ.

რა თქმა უნდა, კორჩნოი არ გაჰყვა მეტოქის სურვილს. ხელსაყრელ მომენტში თავი აარიდა ფიგურების გაცვლას და მცირე პოზიციური უპირატესობაც მიიღო.

სპასკიმ ღრმად და ობიექტურად შეაფასა ბრძოლის შესაძლებელი გაგრძელება და თამაშის გართულებისთვის ეტლი გაიღო მსხვერპლად. მართლაც, პოზიცია დაიმუხტა, თუმცა იგრძნობოდა კორჩნოის მცირე უპირატესობა.

ენდშპილში სპასკიმ კარგად გამოიყენა კორჩნოის ცაიტნოტი და გამსვლელი პაიკი შექმნა. ეს პაიკი ნაწილობრივ მაინც ანეიტრალებდა კორჩნოის მატერიალურ უპირატესობას და ყაიმის შანსსაც იძლეოდა.

პარტია გადაიდო. სპეციალისტების უმრავლესობა ყაიმს წინასწარმეტყველებს.

* * *

**სურათზე:** თამაშობენ ვ. კორჩნოი და ბ. სპასკი.

ფოტო ბ. ქვათაძისა.



## ჯუჯინ...

საჭადრაკო კლუბ „ავანგარდში“ შედგა IX პარტიის დამთავრება. სპასკიმ უზუსტესი თამაშით ყაიმს მიაღწია.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 6:3 სპასკის სასარგებლოდ. ორთაბრძოლის მოსაგებად მოსკოველ დიდოსტატს მხოლოდ ნახევარი ქულა სჭირდება, რაც მან დარჩენილ სამ პარტიაში უნდა მოაგროვოს. ეს ალბათ სპასკისთვის ძნელი ამოცანა არ იქნება.

# გ. კაჩალინი ნაკრებს დაუბრუნდა

**ექვსი წლის შესვენების შემდეგ, სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს სათავეში ჩაუდგა გ. კაჩალინი. მისი ხელმძღვანელობით ჩვენმა ნაკრებმა 1956 წელს მოიხვეჭა მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონის ტიტული, 1960 წელს — ევროპის პირველი თასის მფლობელის სახელი.**

**გ. კაჩალინის თანაშემწეა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ყოფილი ფეხბურთელი, 1965 წელს სსრ კავშირის ნაკრების მეორე მწვრთნელი, შემდეგ ლუგანსკის „ზარიას“ ხელმძღვანელი და უკანასკნელ დროს მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდის უფროსი ე. გორიანსკი.**

●

**სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში**

## ჯუჯინ...

**მოსკოვში გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ჩემპიონატის აუტსაიდერი, კიროვაბადის „დინამო“. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0.**

# სამი ლიდერი

კისლოვოდსკში გრძელდება სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის X საერთაშორისო ტურნირი. უკვე გათამაშდა 12 ტური. დაწინაურდნენ დიდოსტატები გელერი და ვასიუკოვი, რომელთაც 7-7 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ (ათიდან).

კარგად თამაშობს საქართველოს ჩემპიონი ბ. გურგენიძე. ახლა მასაც 7 ქულა აქვს, მაგრამ თერთმეტი შესაძლებლიდან და III ადგილზე იმყოფება.

ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან დიდოსტატი შამკოვიჩი და საერთაშორისო ოსტატი ჩიკოლტია.

შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტური დარჩა. საქართველოს ჩემპიონს შანსი აქვს საერთაშორისო ოსტატი გახდეს.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲐᲛᲮᲐᲒᲐᲓᲘ

ჩვენი ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციამ სსრ კავშირის ქალთა XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატი, რომლის ჩატარება ფრუნზეში იყო გათვალისწინებული, აშხაბადში გადაიტანა. პირველობა 1 ოქტომბერს დაიწყება.

როგორც ცნობილია, შეჯიბრებაში 18 მოჭადრაკე ითამაშებს, მათ შორის იქნებიან საერთაშორისო ოსტატები საქართველოს ჩემპიონი ნ. ალექსანდრია, ა. ჩაიკოვსკაია და ჩვენი რესპუბლიკის ვიცე-ჩემპიონი, თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი მ. სანაძე.

ა. ჩაიკოვსკაია და მ. სანაძე კარგა ხანია შინ ემზადებიან ჩემპიონატისთვის. ნ. ალექსანდრია კი თავისი მწვრთნელის ოსტატ ბ. გურგენიძის თამაშს ესწრება კისლოვოდსკში სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის საერთაშორისო ტურნირში.

# ᲥᲔᲠᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲯᲘ

● **მელბურნი, 24 სექტემბერი.** 400 მეტრზე თარჯრბენში ჯ. ჰაიდმა 51,2 წამი აჩვენა და ავსტრალიის ახალი რეკორდი დაამყარა. ქვეყნის რეკორდები გაუმჯობესეს, აგრეთვე, ახალგაზრდა სიკორამ, რომელმაც 400 მეტრი 55,1 წამში გაირბინა და მისმა დაშ სიკორა-პროკოპმა, ამ უკანასკნელმა ხუთჭიდში 4750 ქულა დააგროვა.

● **კოტბუსი, 24 სექტემბერი.** გდრ-ის ოლიმპიური გუნდის მიღმა დარჩენილ მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ი. ბერმა ჭოკით 511 სანტიმეტრი გადალახა, რაც ამ ქვეყნის მეორე შედეგია სეზონში; მაგრამ ბერს უკვე „დააგვიანდა“ — იგი მეხიკოში ვერ წავა.

ამას წინათ ბათუმში გაიმართა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი ცურვაში. ასპარეზობაში განსაკუთრებთ კარგად გამოვიდნენ სპორტის ოსტატები აფხაზეთის გუნდის წევრი ლ. მარლანია და თბილისელი ა. ოოაკიმიდი. მარლანიამ, იმის გარდა, რომ ორი საპრიზო ადგილი მოიპოვა, საქართველოს ახალი რეკორდიც დაამყარა, ოოაკიმიდის კი ვერავინ აჯობა 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

**სურათებზე:** მარცხნივ — მარლანია ასპარეზობისას, მარჯვნივ — ოოაკიმიდი შეჯიბრების შემდეგ.

ფოტო ა. გურასაშვილისა.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

# ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲘᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

**ხარკოვი, 24 სექტემბერი.** სტუდენტ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი რადიოელექტრონიკის ინსტიტუტისა და საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 2:1 და მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული. ქართველი ფეხბურთელები II ადგილზე გავიდნენ.

III საპრიზო ადგილისთვის თამაშობდნენ ლენინგრადის მექანიკური და კუიბიშევის საავიაციო ინსტიტუტები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა.

# თხილამურებით პირველობა

მესტიელმა სპორტსმენებმა კარგა ხანია დაიმკვიდრეს ადგილი საქართველოს უძლიერეს მოთხილამურეებში. რესპუბლიკის ჩემპიონები და ნაკრები გუნდების წევრები იყვნენ გივი და ამირან ჯაფარიძეები, ვარდენ და ანზორ დადვანები, ბუხულა მჭედლიანი, ბორის ჩართოლანი... ფალში არც ქალები რჩებოდნენ: მარი მარგიანს, ლამარა და ლიანა ჯაფარიძეებს, ნადია მუშკუდიანს, დოდო ჟორჟოლიანსა და სხვებს ბევრჯერ წარმატებით უასპარეზიათ. ისინი სვანი მოთხილამურეების კარგ ტრადიციებზე იზრდებოდნენ და ახალბედებსაც. გადასცემდნენ ცოდნასა და გამოცდილებას; ბორის კახიანმა და ნათელა ფალიანმა უფრო დიდ წარმატებას მიაღწიეს — სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში ჩაირიცხნენ.

სვანეთში, განსაკუთრებით მესტიის რაიონში, მუდამ უყვარდათ სათხილამურო სპორტი, მისი განვითარებისთვის ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, წვრთნისთვის ყველა ხელსაყრელ მომენტს იყენებდნენ და სეზონს მუდამ მომზადებულნი ეგებებოდნენ. მაგრამ სპორტის ამ სახეობის შემდგომმა პროგრესმა სპორტსმენებისგან უფრო ინტენსიური წვრთნა მოითხოვა. ზაფხულობით საამისო პირობები მესტიელებს არ ჰქონდათ უთოვლობის გამო, ამიტომაც ამ ხარვეზის შევსებას ისინი სხვა დამხმარე ვარჯიშების გამოყენებით ცდილობდნენ, თანაც მათ მოსვენებას არ აძლევდა ის აზრი, რომ სადმე მოენახათ სპეციალური ვარჯიშებისთვის ხელსაყრელი პირობები.

ამ საკითხზე ერთხელ ბიჭები ხმამაღლა ვმსჯელობდით. სწორედ მაშინ მომაგონდა...

... 1950 წლის 28 აგვისტო იყო. შხელდა — უშბის ტრავერსის მონაწილე მამების შესახვედრად წავედით მე და ახლა საქვეყნოდ ცნობილი მთამსვლელი მიხეილ ხერგიანი. იმ დროს ჩვენც თხილამურები უფრო გვიტაცებდა, მაგრამ როგორც ყველა სვანი, მთამსვლელობაზეც თავს ვდებდით. მესტიიდან გეზი უშბისაკენ ავიღეთ, გზად უშბის აღმოსავლეთით მდებარე ქორულდას ქედზე გავიარეთ, ქვემოთ, ქედის ჩრდილოეთ მხარეს ჭალადის ყინვარამდე თვალუწვდენი თოვლიანი ფერდობი გადაჭიმულიყო. თხილამურები ვინატრეთ, რადგან ასეთი შესანიშნავი სათხილამურო ადგილი ზამთარშიც არსად გვენახა.

შემდეგში როგორც მთამსვლელებს მრავალგზის მოგვიხდა იმ ადგილებში გავლა და მუდამ პირვანდელი აღმოჩენის ერთგულნი ვრჩებოდით.

... ახლაც სწორედ ეს ადგილი მომაგონდა. აზრი ბიჭებს გავუზიარე, მერე სპორტკავშირსა და კომკავშირის რაიკომშიც შევედით წინადადებით მესტიელ მოთხილამურეთა პირველობა გაგვემართა. აზრი ყველამ მოიწონა. მსურველიც ბევრი გამოჩნდა და სამზადისიც მალე დავამთავრეთ.

24 აგვისტოს თხილამურებით, კარვებითა და სხვა მოწყობილობით დატვირთული 30 მესტიელი (რა თქმა უნდა, სახედრებიც გამოვიყენეთ) გზას გაუდგა ქორულდას ქედისკენ. უშბის კალთებზე თხილამურებით ჭოლვა იყო ყველას ოცნება.

ბანაკი გაიშალა. დაქანცულობის მიუხედავად იქვე, პატარა ფერდობზე თხილამურები მოსინჯეს და დაღლაც გაჰქრა. მთავარ სასპარეზომდე ათიოდე წუთის სავალია, მაგრამ შეჯიბრების ორგანიზატორებმა აქ დარჩენა ვამჯობინეთ, ვინაიდან აქედან უკეთესად ჩანდა ცადაზიდული უშბა, მის აღმოსავლეთით: თეთნულდი და მთელი ბეზინგის ქედი, უფრო შორს დიხთაუ და კოშთინ-თაუს მწვერვალები, ლეხზირის მყინვარი და მისი შემოვარენი.

ვახშამს ომახიანი „ლილე“ მოჰყვა, სიმღერის ეხო შორიდან გუგუნით გვიბრუნდებოდა, თითქოს ქვემოდან ჩვენიანები ბანს გვაძლევდნენ.

მეორე დილით ინათა თუ არა ყველა ისე ხალისიანად აფუსფუსდა თითქოს ბაკურიანში, ალმათაში ან ჩეგეტის ტრასებზე სასპარეზოდ ემზადებოდნენ.

აი, ფირნის ველიც, რომლის დაქანება 20-60 გრადუსია, რელიეფი მრავალფეროვანი და უხიფათო. აქ შეიძლება ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებისთვის 2000 მეტრამდე სიგრძის ნებისმიერი სირთულის ტრასის გაყვანა.

ჩვენც რაიონული ტურნირისთვის საკმარისი ტრასები გავაწყვეთ ამ სიმაღლეზე და უშბის ძირში კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ტურნირიც დაიწყო...

გიგანტურ სლალომში ყველას გ. კახიანმა აჯობა, სპეციალური სლალომი გ. ჯაფარიძემ მოიგო. კარგად გამოვიდნენ ე. გუჯეჯიანი, ს. ნავერიანი, ვ. შამფრიანი, გოგონები ა. ჯაფარიძე, ზ. რატიანი და სხვები, მაგრამ ამ წერილის მიზანს ის კი არ შეადგენს, გავახმიანოთ აგვისტოში სათხილამურო სპორტში მესტიის რაიონის პირველობის შედეგები, ოდესმედ საქართველოში სამთო-სათხილამურო სპორტის შემდგომი განვითარების ინტერესი გვალაპარაკებს.

სპორტის ამ სახეობაში საერთაშორისო კლასის ოსტატების აღზრდის მიზნით იყო, რომ საკავშირო ფედერაციამ კავკასიონზე საზაფხულო ტრასების მოწყობის საკითხი დააყენა და მიზანსაც მიაღწია. იქ უკვე რამდენიმე წელია ზაფხულობით იმართება საკავშირო და საერთაშორისო ტურნირები. მაგრამ საქართველოს სპორტსმენებისთვის ის მხარე ძნელად მისადგომია. მართალია, უეკლო გზა არც ქორულდას ქედისკენაა, მაგრამ კავკასიონის ჩრდილოეთის ტრასებთან შედარებით ქალზე იოლია. ვინმე რომ ითავებდეს მესტიიდან ქორულდამდე სამანქანო ან საბაგირო გზის გაყვანას, ეს სპორტსმენებს ფირნის ველზე ერთ საათში ასვლის საშუალებას მისცემდა და მაშასადამე, ზაფხულის პაპანაქებაში ყოველდღიური ინტენსიური ვარჯიშის გამართვაც გაიოლებოდა. ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობდა საქართველოს სპორტსმენთა ტექნიკური დონის საგრძნობ ამაღლებას. აქვე დავძენთ, ქორულდა და მისი მიდამები ტურისტების საყვარელი ადგილიც შეიძლება გახდეს.

**ჯ. გვარლიანი,**
**სპორტის ოსტატი, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის, ჟურნალისტიკის განყოფილების VI კურსის სტუდენტი.**

* * *

**სურათებზე:** ზევით — ასეთია ქორულდას ფერდობი, ქვევით — **შეჯიბრების მომენტი.**

ფოტო ავტორისა.

# აჭარელთა სიურპრიზები და უხეირო ორგანიზაცია

საქართველოს მოცურავეთა წლეულანდელი ჩემპიონატის მასპინძლობა ბათუმის სპორტულ ორგანიზაციას დაევალა. მოსალოდნელი იყო, რომ იგი ყველა ღონეს იხმარდა შეჯიბრების მაღალ დონეზე გამართვისთვის. სამწუხაროდ, ვარაუდი არ გამართლდა — „ბახთიადის“ აუზი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს: არ ჩანდა ბილიკების განმსაზღვრელი არეები, რის გამო სპორტსმენები მობრუნებისას ცდებოდნენ და ერთიდან მეორე ბილიკზე გადადიოდნენ. ასე დაემართა მაგალითად, თბილისელ ჰ. გეკორქოვს, რომელიც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის დროს მობრუნებისას შეზობელ ბილიკზე ამოჩნდა და შეჯიბრებიდან მოიხსნა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ვ. ბუდიაკმა 1500 მეტრზე ასპარეზობისას ამავე მიზეზით ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა ცურვის ტემპი შეენელებინა.

როგორც წესი, გრძელ დისტანციებზე მოცურავეებს მსჯეფი სპეციალური ხელსაწყოების დახმარებით აჩვენებენ თუ რა მანძილი დარჩა გასაცური. სამწუხაროდ, არც ეს გაკეთდა. შეჯიბრების ორგანიზატორებს არ უზრუნიათ, აგრეთვე, ასპარეზობის პრიზორთა დაჯილდოებაზე.

ამის მიუხედავად, ტურნირი საინტერესოდ, დაძაბულად მიმდინარეობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სიურპრიზი, რომელიც ტურნირის მონაწილეებს მასპინძლებმა მოუმზადეს. ბათუმელებმა პროგრამის 29 სახეობიდან ექვსში გაიმარჯვეს. ამას გარდა, კიდევ 12 სხვა საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს.

თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა ბათუმის მე-11 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ ე. სედიაკოვამ (მწვრთნელი ნ. რიხტოვსკაია), რომელმაც 100 მეტრზე ბრასით წინასწარ ასპარეზობისას 1.24,0 აჩვენა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. მაგრამ იგი ამით როდი დაკმაყოფილდა. ფინალში მან აღნიშნულ შედეგს 0.3 წამი ჩამოაკლო, ჩემპიონის სახელიც მოიპოვა და აჭარის ახალი რეკორდიც დაამყარა. მას არც თანაგუნდელი ნ. ზემლიანუხინი ჩამორჩა: 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ორმაგი გამარჯვება იზეიმა: ჩემპიონიც გახდა და აჭარის რეკორდსმენიც.

მოწონება ხვდათ აგრეთვე, ა. პახათურიძესა და რ. ფროლოვს. პირველი უძლიერესი გახლდათ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ხოლო 200 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში პირველად შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. ფროლოვმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში აჩვენა 1.07,8. ეს 0.6 წამით ჩამორჩება საქართველოს რეკორდს, სამაგიეროდ ოსტატობის კანდიდატის ნორმატივზე მაღალი შედეგია. აჭარის ვაჟთა გუნდის გამარჯვებით დამთავრდა ესტაფეტაც 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. ამ სახეობის სტარტზეე დაწინაურდნენ მასპინძლები. თბილისელები დიდხანს ბრძოლობდნენ, მაგრამ მაინც წააგეს.

200 მეტრზე ბრასით გოგონათა ცურვაში გამარჯვებულმა ლ. მარღანიამ (აფხაზეთი) 50 მეტრზე ცურვაში საქართველოს რეკორდზე მიიტანა იერიში და მიზანსაც მიაღწია — 37,7. სხვა სპორტსმენ ქალთა მაჩვენებლები კრიტიკას ვერ უძლებს. მაგალითად, 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით, აგრეთვე, 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ჩემპიონებიც კი ვერ აცილდნენ 11 თანრიგის შედეგს.

იყო შემთხვევები, როცა გუნდებმა სტარტზე მოუმზადებელი სპორტსმენები გამოიყვანეს. მაგალითად, ს. ფრამენკოვ (აჭარა) 100 მეტრი თავისუფალი სტილით 1.46,9-ში გაცურა (?!), ხოლო გ. გრიგორიევამ 200 მ კომპლექსურ ცურვაში 4 წუთი ძლივს აჩვენა.

სუსტად იყო მომზადებული ქუთაისის გუნდი, რომელიც მეორე ჯგუფში ასპარეზობდა. ამ კოლექტივმა სულ 60 ქულა მოაგროვა (და გაიმარჯვა), აქედან 52 ქულა სპორტის ოსტატ ი. ზოტოვას დამსახურებაა.

**ა. გურასაშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

* * *

**ჩემპიონატის ტექნიკური შედეგები ასეთია: ქალები.** თავისუფალი სტილით ცურვა. **100 მ.** ზოტოვა — 1.09,9, ლ. ოსიპოვა (თბილისი) — 1.12,0, მ. მიქაელიანი (აჭარა) — 1.12,3; **200 მ.** ოსიპოვა — 2.43,5, მიქაელიანი — 2.44,0, ს. კოტოვა (თბილისი) — 2.56,2; **400 მ.** ო. ვილკოვა (თბილისი) — 6.00,2, დ. დოლიძე (აჭარა) — 6.13,0, ვ. კორნიენკო (თბილისი) — 6.15.0; **800 მ.** ზოტოვა — 11.33,4, ვილკოვა — 12.41.0, კორნიენკო — 12.58,1; **ბრასი. 100 მ.** სედიაკოვა— 1.23,7, მარღანია — 1.24,9, ვ. ანდრეევა (აფხაზეთი) — 1.26,1; **200 მ.** მარღანია — 3.03,4, სედიაკოვა — 3.03.6, ანდრეევა — 3.05,0; **გულაღმა ცურვა. 100 მ.** ნ. ჭუმბაძე — 1.19.3, მ. ყულიჯანოვა — 1.20,0, ვ. სტრუნინა (ყველა — თბილისი)—1.25,7; **200 მ.** ყულიჯანოვა — 2.51.0, ჭუმბაძე — 2.52,8, ტ. შელესტი (თბილისი) — 2.55,0, **ბატერფლაი. 100 მ.** მ. გორბუნოვა (აჭარა) — 1.16,9, ნ. ეიგალიოვა — 1.18,2, ნ. დავთიანი (ორივე — თბილისი) — 1.24,2; **200 მ.** ეიგალიოვა — 3.00,9. გორბუნოვა — 3.03,8, ი. ზარგარიანი (თბილისი) — 3.16,4; **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** ზოტოვა — 2.50,4, ი. ჩუგუევსკაია (თბილისი) — 2.58.2, შელესტი — 2.58.6; **400 მ.** ჩუგუევსკაია — 6.29,9, ვ. ბახი — 6.50.0, ი. ოვჩინიკოვა (ორივე — თბილისი) — 7.03,8; **ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით.** თბილისი — 4.57.8, აჭარა — 4.58.0, აფხაზეთი — 5.45.0; **კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 5.24,8, აჭარა — 5.58,0, აფხაზეთი — 5.58.6.

**ვაჟები.** თავისუფალი სტილით ცურვა. **100 მ.** პახათურიძე — 1.01,0, ნ. პოგორელოვი (აჭარა) — 1.01,2, ს. კრავცოვი (თბილისი) — 1.01,5; **200 მ.** ა. იოაკიმიდი (თბილისი) — 2.10,2, პახათურიძე — 2.14,0, ვ. ონუფრიენკო (თბილისი) — 2.17,9; **400 მ.** იოაკიმიდი — 4.37,8, ვ. ჭარბაძე (თბილისი) — 4.51,3, ზემლიანუხინი — 4.51,6; **1500 მ.** ზემლიანუხინი — 19.47,0, ვ. ბუდიაკი — 19.48,7, გეკორქოვი — 20.43,5; **ბრასი. 100 მ.** ა. ტუტაკაევი — 1.13,1, ი. კირდიანოვი — 1.14,2, ს. იევლევი (ყველა — თბილისი) — 1.18,0; **200 მ.** ტუტაკაევი — 2.42.6. იევლევი — 2.48,7, ა. გურასაშვილი — (თბილისი) — 2.50.5; **გულაღმა ცურვა. 100 მ.** ფროლოვი — 1.07.8, ჯ. ჩაბაკაური — 1.08,0, ვ. სნიმშჩიკოვი (ორივე—თბილისი)—1.09,7; **200 მ.** ჩაბაკაური — 2.31,7, სნიმშჩიკოვი — 2.32,4, ფროლოვი — 2.34,4; **ბატერფლაი. 100 მ.** ვ. შიხოკანი (თბილისი)—1.05.2. ვ. ბარანიკოვი (აჭარა)—1.08,0, ნ. ზეერავა (თბილისი) — 1.09,9; **200 მ.** ჭარბაძე — 2.27,9, ბარანიკოვი — 2.33,0, ლ. ბაშოიანი (აჭარა) — 2.37,0; **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** კირდიანოვი — 2.30,0, ე. სიდელნიკოვი (აფხაზეთი) — 2.38,2, ვ. ალშირინი (აჭარა) — 2.38,9; **400 მ.** შიხოკანი — 5.16,1, ა. ხეხტოიანი (თბილისი) — 5.35,4, გ. აბრამიანი (აჭარა) — 5.44,6; **ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილი.** აჭარა — 4.07,5, თბილისი— 4.13,2, აფხაზეთი — 4.45,7; **4×200 მ. თავისუფალი სტილით.** თბილისი — 9.11,0, აჭარა — 9.58,8, აფხაზეთი — 10.12,0; **კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ.** თბილისი — 4.32,4, აჭარა— 4.39,0, აფხაზეთი — 5.16,3.

გუნდური. თბილისი — 1103 ქ; აჭარა — 630, აფხაზეთი — 316.

სსრ კავშირის პირველობა

# კვლავ ფრე

**თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 24 სექტემბერი.**

**„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:1 (0:0).**

**„„ლოკომოტივი“: ნარსია, მირიანაშვილი, პანოვი, ფრიდმანი, გეგეჭკორი, ძაგანია, ჭელიძე, ონიანი (შეყრილაძე), შხვაცაბაია, მაზიაშვილი, მელიქიძე.**

**„დინამო“: კვახაძე, ჩხაიძე, ქორიძე, სირბილაძე, გიორგიადი, აპრესიანი. ხაბიბულინი, კვიტაიშვილი, ილურიძე, რ. გაგუა, ვერულიძე.**

**მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).**

**დუბლიორები — 2:0 რკინიგზელთა სასარგებლოდ.**

ამ გუნდების პირველი წრის მატჩი მასპინძლების, ბათუმელების უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ მაინც ფრედ (0:0) დამთავრდა. მეორე წრის შეხვედრაში როლები შეიცვალა. ამჯერადაც მასპინძლების უპირატესობა საგრძნობი იყო, მაგრამ ამ მატჩმაც ვერ გამოავლინა უძლიერესი.

დასაწყისში თამაში უმთავრესად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა. საგოლე მომენტი მხოლოდ მე-8 წუთზე შეიქმნა, როცა ბათუმელმა აპრესიანმა თავით კარგად გადაუგდო ბურთი გაგუას, მაგრამ ამ უკანასკნელის დარტყმა უზუსტო გამოდგა. ოთხიოდე წუთის შემდეგ კვლავ გაგუას მიეცა საშუალება სახიფათოდ დამუქრებოდა კარს, მაგრამ საბოლოო დარტყმა სუსტი იყო. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა დიდი ხნით მასპინძელთა მხარეს გადავიდა. მე-16 წუთზე ძაგანია კარგად შეიჭრა ბათუმელთა საჯარიმო მოედანზე და მცველებს სხვა არაფერი დარჩენოდათ, რომ იგი „მოეცელათ“. მსაჯმა სამართლიანად დანიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, რომელიც დაზარალებულმა შეასრულა, მაგრამ ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა და დაიკარგა ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა.

შესვენების შემდეგ ბრძოლა მინდორზე ახალი ძალით გაჩაღდა. რკინიგზელთა სახიფათო შეტევები გრძელდებოდა, მაგრამ ბათუმელ მცველთა შეთანხმებული თამაშის წყალობით მათი კარი აუღებელი რჩებოდა. 57-ე წუთზე დაახლოებით 30 მეტრიდან ძაგანიამ შარცხენა მხრიდან ბურთი დინამოელთა საჯარიმო მოედანზე ჩაჰკიდა და მაზიაშვილმა ლამაზი თავუური დარტყმით ბათუმელთა კარის ბადეში მოათავსა იგი. სტუმრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გატანილ ბურთს მათ რიგებში არეულ-დარეული არ შეუტანია. დროდადრო ისინი კონტრშეტევაზე გადიოდნენ, მაგრამ მათი თავდამსხმელების საბოლოო დარტყმები კარში უზუსტო იყო. 73-ე წუთზე შხვაცაბაიამ კარგად ჩაწოდა ბურთი კარის გასწვრივ, სადაც ლოკომოტიველთაგან არავინ აღმოჩნდა. 1 წუთის შემდეგ ბათუმელმა აპრესიანმა ახლო მანძილიდან ააცილა კარს.

მატჩი იწურებოდა და თითქოს თბილისელთა გამარჯვება ექვს არ იწვევდა, რომ მასპინძელთა კართან შექმნილი არეულობით ისარგებლა გაგუამ და ძლიერი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. რკინიგზელებმა ვერ მოასწრეს ბურთის ცენტრიდან თამაშში შეყვანა, რომ მსაჯის სასტვენმა თამაშის დამთავრება გვაუწყა.

ა. ცეხანელი.

## გათამაშების ცხრილი

III ჯგუფი

**მდგომარეობა 26 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)** | 30 | 18 | 9 | 3 | 44—14 | 45 |
| **„დინამო“ (მახაჩყალა)** | 31 | 13 | 15 | 3 | 23—10 | 41 |
| **„ვოლგა“ (გორკი)** | 31 | 15 | 9 | 7 | 45—22 | 39 |
| **„რუბინი“ (ყაზანი)** | 30 | 15 | 9 | 6 | 42—21 | 39 |
| **„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)** | 30 | 14 | 8 | 8 | 41—26 | 36 |
| **„ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი)** | 31 | 11 | 14 | 6 | 34—25 | 36 |
| **„დინამო“ (ბათუმი)** | 32 | 11 | 11 | 10 | 34—28 | 33 |
| **„ზენიტი“ (იჟევსკი)** | 32 | 11 | 10 | 11 | 29—33 | 32 |
| **„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)** | 32 | 11 | 9 | 12 | 32—36 | 31 |
| **„ზვეზდა“ (პერმი)** | 32 | 9 | 13 | 10 | 24—30 | 31 |
| **„ლოკომოტივი“ (თბილისი)** | 31 | 9 | 12 | 10 | 31—28 | 30 |
| **„ვოლგარი“ (ასტრახანი)** | 31 | 9 | 11 | 11 | 37—31 | 29 |
| **„ვოლგა“ (ულიანოვსკი)** | 32 | 11 | 7 | 14 | 34—46 | 29 |
| **„სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა)** | 31 | 8 | 12 | 11 | 26—26 | 28 |
| **„ფოლადი“ (სუმგაითი)** | 30 | 10 | 8 | 12 | 23—31 | 28 |
| **„ტორპედო“ (ტაგანროგი)** | 31 | 9 | 9 | 13 | 24—33 | 27 |
| **„სტროიტელი“ (უფა)** | 32 | 8 | 10 | 14 | 32—43 | 26 |
| **„თერგი“ (გროზნო)** | 31 | 7 | 11 | 13 | 37—43 | 25 |
| **„მეშახტე“ (ტყიბული)** | 32 | 4 | 16 | 12 | 25—38 | 24 |
| **„მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი)** | 31 | 6 | 12 | 13 | 24—49 | 24 |
| **„შირაკი“ (ლენინაკანი)** | 31 | 6 | 9 | 16 | 22—41 | 21 |

# ყურადღების ცენტრში — სპორტსაქონლით ვაჭრობა

ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში სპორტსაქონელზე ძალიან გაიზარდა მოთხოვნილება. ახლა არა მარტო სპორტსმენები, არამედ ყველა ასაკის ადამიანი იძენს და მოითხოვს სპორტსაქონლის უხვ და ფართო ასორტიმენტს. ყოველივე ამის გამო შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაში გაერთიანება „სპორტვაჭრობა“. თავისთავად ცხადია, რომ გაიზარდა სავაჭრო ობიექტთა რიცხვი და სპორტსაქონლის ასორტიმენტიც გაფართოვდა.

თბილისის ცენტრალური უნივერმაღის სპორტსაქონლით ვაჭრობის სექციას ერთხანს მცირე ადგილი ეკავა. ეს სექცია უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ყოველთვის ასრულებდა საქონლის ბრუნვის გეგმას და სწორედ ამიტომაა, რომ იგი ატარებს კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელს. დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელს თბილუნივერმაღის დირექციამ, პარტორგანიზაციამ და გაერთიანებულმა ადგილობრივმა კომიტეტმა სპორტსაქონლის სექცია დაჯილდოვა სამახსოვრო გარდამავალი დროშით.

თბილუნივერმაღის დირექტორმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ა. ხარბედიამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნილება სპორტსაქონელზე და სექციის მიერ დაკავებული ფართობი თითქმის ოთხჯერ გაზარდა. სექციაში განუწყვეტელ ნაკადად მოედინებიან მომხმარებლები, როგორც თბილისელები ისე. სხვა რესპუბლიკიდან ჩამოსულნი, აგრეთვე. ტურისტები და უცხოელებიც კი. ეს ბუნებრივიცაა. ცენტრალური უნივერმაღი ისეთი სავაჭრო ობიექტია, სადაც წესით ყველა სახის საქონელი უნდა იყოს წარმოდგენილი. სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკა საუკეთესო ნაწარმს უშვებს, მასზე დიდი მოთხოვნილებაა. ასეთი საქონელია შალის, ნახეკრად შალის, ბამბის საწვრთნელი კოსტუმები... მაგრამ სამწუხაროა, რომ ფაბრიკამ ვერ მოაღწია ყველა ზომის კოსტუმების უხვად გამოშვებას. ფაბრიკა უშვებს ფეხბურთისა და ფრენბურთის ბურთებსაც, მაგრამ რატომღაც არ კერავს კალათბურთისა და ხელბურთის ბურთებს. თბილისის „დინამოს“ ფაბრიკის ნაწარმმა მთელს კავშირში დიდი მოწონება დაიმსახურა: „დინამოს“ შიერ გამოშვებული ტურისტული თეძები და ლაბადები დახლზე გამოჩენის თანავე იყიდება. ამიტომ გაზრდილი მოთხოვნილება გათვალისწინებულ უნდა იქნეს და შესაბამისად გაიზარდოს ამ საქონლის გამოშვება. იგივე ფაბრიკა უშვებს საუკეთესო სვიტრებს, მაისურებს. რეიტუზებს და ბამბის საწვრთნელ კოსტუმებს. სამწუხაროა, რომ სპორტული ინვენტარის ერთი ნაწილი, როგორიცაა ორბირთვები. შტანგა ჩვენს დედაქალაქში არ მზადდება.

თბილუნივერმაღის დირექციის მიერ სპორტსაქონლის დიდი სავაჭრო დარბაზის შექმნას უთუოდ მხარი უნდა დაუჭიროს სპორტსაქონლის მომმართველმა ორგანიზაციებმა და აუცილებლად უნდა გაიზარდოს ფონდები. თბილუნივერმაღის სპორტსაქონლით ვაჭრობის სექცია დაკომპლექტებულია ენერგიული და საქმის მცოდნე კადრებით (თ. ბახტაშვილი, ზ. გიორგაძე, თ. ლონდარიძე, მ. შეშაბერიძე, ს. ბასიაშვილი). ისინი დაუზარებლად და გულისხმიერად ეკიდებიან მათზე დაკისრებულ საქმეს. ამჟამად სპორტული საქონლით ვაჭრობას სექცია იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოპოვებისთვის.

**ა. იაშაღაშვილი,**
**თბილუნივერმაღის სპორტსაქონლით ვაჭრობის სექციის გამგე, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი.**

* * *

**სურათზე: განახლებული სპორტსაქონლის სექციაში.**

ოტო ე. ნადარეიშვილისა.

## „ჯ“ ჯერი

II ჯგუფი

III ქვეჯგუფში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები:

„ფოლადი“ (სუმგაითი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0, „დინამო“ (მახაჩყალა) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:0, „ვოლგა“ (ულიანოვსკი) — „თერგი“ (გროზნო) 2:0, „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:3, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 2:1. „ვოლგა“ (გორკი) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:0, „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 0:1, „რუბინი“ (ყაზანი) — „სტროიტელი“ (უფა) 2:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) 2:0.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები:

● **„აერო“ (გალი) — „სულორი“ (ვანი) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

მატჩის პირველი ნახევარი ორმხრივი შეტევებით აღინიშნა. გუნდებმა ვერ გამოიყენეს გოლის გატანის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა. მაგრამ აი, შესვენების შემდეგ, 72-ე წუთზე გალელმა იოსავამ გახსნა ანგარიში. მსაჯის საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე ბრედნიკოვმა „სულორი“ დამარცხებისგან იხსნა.

● **„არაგვი“ (მცხეთა) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:1. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).**

მასპინძლებმა თავიდანვე მძაფრი იერიშები წამოიწყეს და უკვე მე-17 წუთზე წარმატებას მიაღწიეს. ბურთი გაიტანა შარიქაშვილმა. მეორე ტაიმში გორელები შესამჩნევად გააქტიურდნენ. მათ ერთ-ერთი შეტევა მასპინძლების კარის აღებით დაამთავრეს (რევაზიშვილმა).

● **„ბახმარო“ (ჩოხატაური) — ასკ (თბილისი)—1:0. მსაჯი მ. ხუტაბა (სოხუმი).**

მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა განსხვავებული გახლდათ. არმიელები, როგორც ცნობილია, გათამაშების ლიდერები არიან, ჩოხატაურელებს კი სატურნირო ცხრილის შუაგული უკავიათ. ამის მიუხედავად, მასპინძლებმა მონდომებით ითამაშეს და აქტიური საპატიო გამარჯვება ჩაიწერეს.

● **„ისანი“ (თბილისი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 0:1. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).**

მატჩის პირველი ნახევარი სტუმრების უპირატესობით აღინიშნა. 25-ე წუთზე ესეგუამ გაიტანა გოლი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა. მართალია, მეორე ტაიმში მასპინძლებმა გამოასწორეს თამაში, მაგრამ ანგარიშის შეცვლა მათ ვერ შეძლეს.

● **„ლაითური“ (მახარაძე) — „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) 0:0. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).**

● **„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)— „სპარტაკი“ (ბორჯომი) 3:0. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).**

მასპინძლების ტერიტორიული უპირატესობა სულ მალე გოლით დაგვირგვინდა. ეს მოხდა თამაშის დაწყებიდან მე-15 წუთზე. კვარაცხელიამ ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. მეორე ნახევარში ინიციატივას წალენჯიხელები ფლობდნენ, მაგრამ ანგარიშის გაზრდა მათ მხოლოდ 84-ე წუთზე შესძლეს (ბირკაიამ). შეხვედრის დასასრულს ბაჩუკაშვილმა მესამედ შეარხია სტუმრების კარის ბადე.

● **„დურუჯი“ (ყვარელი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 5:0. მსაჯი გ. მოსესოვი (თბილისი).**

ყვარლელთა უპირატესობა ამ მატჩში უდავო იყო. პირველი ბურთი მათ გაიტანეს პენალტიდან. შემდეგ კი სტუმრებს კიდევ ოთხჯერ დააწყებინეს ცენტრიდან თამაში.

● **„კოლხეთი“ (ცხაკაია) — „მეხეთი“ (ახალციხე) 0:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

**მდგომარეობა 24 სექტემბრისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ასკ (თბილისი)** | 29 | 18 | 8 | 3 | 54—17 | 44 |
| **„კოლხეთი“ (ცხაკაია)** | 31 | 16 | 10 | 5 | 52—26 | 42 |
| **„მეტალურგი“ (ზესტაფონი)** | 31 | 14 | 13 | 4 | 39—19 | 41 |
| **ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი)** | 29 | 13 | 12 | 4 | 44—26 | 38 |
| **„ლოკომოტივი“ (სამტრედია)** | 32 | 14 | 10 | 8 | 46—41 | 38 |
| **„ფეიქარი“ (წულუკიძე)** | 30 | 13 | 10 | 7 | 38—33 | 36 |
| **„ხიბათლე“ (თბილისი)** | 29 | 14 | 7 | 8 | 40—24 | 35 |
| **„სპარტაკი“ (ბორჯომი)** | 31 | 11 | 12 | 8 | 38—31 | 34 |
| **„აერო“ (გალი)** | 31 | 11 | 11 | 9 | 34—33 | 33 |
| **„სულორი“ (ვანი)** | 30 | 12 | 8 | 10 | 33—26 | 32 |
| **„დურუჯი“ (ყვარელი)** | 30 | 10 | 11 | 9 | 44—28 | 31 |
| **„ბახმარო“ (ჩოხატაური)** | 31 | 11 | 6 | 14 | 36—49 | 28 |
| **„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)** | 32 | 10 | 7 | 15 | 30—48 | 27 |
| **„ლაითური“ (მახარაძის რაიონი)** | 32 | 8 | 10 | 14 | 25—31 | 26 |
| **„მუნეგელი“ (სიღნაღი)** | 28 | 8 | 9 | 11 | 28—40 | 25 |
| **„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი)** | 30 | 6 | 11 | 13 | 25—39 | 23 |
| **„სამცხე“ (აწყური)** | 28 | 6 | 10 | 12 | 30—34 | 22 |
| **„ისანი“ (თბილისი)** | 30 | 7 | 8 | 15 | 24—37 | 22 |
| **„ქართლი“ (გორის რაიონი)** | 29 | 8 | 6 | 15 | 30—46 | 22 |
| **„მეხეთი“ (ახალციხე)** | 29 | 6 | 9 | 14 | 18—32 | 21 |
| **„ბარეჯი“ (საგარეჯო)** | 27 | 7 | 6 | 14 | 26—46 | 20 |
| **„არაგვი“ (მცხეთა)** | 31 | 8 | 4 | 19 | 24—45 | 20 |

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

**I ზონა**

„ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 8:0. „მეტალურგი“ (რუსთავი) — „მეევნახე“ (ვაჩნისუბანი) 3:2, „თრიალეთი“ (წალკა) — „აბული“ (ახალქალაქი) 3:1, ასპინძის „ვარძიას“ გაძარჯვება ჩაეთვალა დუშეთის „არაგვთან“.

**II ზონა**

„კოლხეთი“ (ხობი) — „ელექტრიკი“ (ქუთაისი) 1:0, „იმერეთი“ (თერჯოლა) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 3:1. „ჩიხურა“ (საჩხერე) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — 0:0. „კოლხიდაშენი“ (ფოთი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 0:1.

**ზონალური გათამაშება**

დმანისი — ქარელი 1:4, „აერო“ (თბილისი) — თეთრი წყარო 3:2, ონი — ზესტაფონი 3:0, ლანჩხუთი — მახარაძე 4:0.

MEXICO·1968·MEXICO·XIX·MEXICO·1968·

# ოლიმპიადის ბანაცლებიდან ბანაცლებამდე

16

პოლონელმა ი. კირშენშტეინმა ტოკიოდან 2 ვერცხლის მედალი წაიღო — 200 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში. II ადგილები მოიპოვა. პოლონეთის ქალთა გუნდის ლიდერი მეხიკოშიც იასპარეზებს. იქ სტარტზე გამოვა კირშენშტეინ-შევინსკა (სურათზე) და იმედი აქვს შარშან შექმნილ ოკაბში ერთი ოქროს მედალს მაინც შეიტანს.



კრისტინა შპილბერგი (გდრ) თუ ლიზელ ვესტერმანი (გფრ)? ახლა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, ვინაიდან ორივე ბადროს მტყორცნელს მეხიკოში თითქმის ერთნაირი შანსი აქვს. მართალია, ვესტერმანი პირველი ქალია, ვინც 60-მეტრიან ზღვარს გადაცილდა, მაგრამ შპილბერგიც (სურათზე) პირველი (და ჯერჯერობით უკანასკნელიც) იყო, ვინც „დასცა“ ვესტერმანის მსოფლიო რეკორდი, რომელიც წლეულს ლიზელმა ისევ დაიბრუნა. ამრიგად, ოლიმპიადას ჰყავს ორი ფავორიტი: ერთი დასავლეთ გერმანიიდან, მეორე — გდრ-დან.



# „ვარსკვლავების“ პროგნოზები

**მეხიკო**, 25 სექტემბერი. მსოფლიო სპორტის „ვარსკვლავები“ ჟურნალისტების გარემოცვაში არიან. სახელგანთქმული სპორტსმენები პასუხობენ მრავალ კითხვაზე, წინასწარმეტყველებენ თუ როგორ განვითარდება მოვლენები ოლიმპიადაზე.

მეხიკოს ოლიმპიადისწინა კვირეულში ჭოკით მხტომელთა შორის გამარჯვებულმა ბერძენმა კ. პაპანიკოლაუმ სთქვა, რომ შეჯიბრებაზე გადალახავს 541 სმ სიმაღლეს და დაამყარებს ახალ მსოფლიო რეკორდს.

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა სიგრძეზე ხტომაში, ინგლისელმა ლ. დევისმა, რომელსაც ჟურნალისტები თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე შემოხვევენ. განაცხადა: „ვფიქრობ, ვაჩვენო 840 სმ (მსოფლიო რეკორდი უდრის 835 სმ-ს). ამის იმედი რომ არ მქონდეს, მე არც კი ჩამოვიდოდი მეხიკოში“.

თამაშების დედაქალაქს უკვე ესტუმრა სახელმოხვეჭილი ეთიოპიელი მორბენალი ა. ბიკილა. მან განაცხადა: „ხიმაღლის პრობლემას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ზღვის დონიდან 2000 მეტრზე გამართული შეჯიბრება ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავია“. ბიკილას გადაწყვეტილი აქვს კვლავ გაიმეოროს რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების წარმატება და გახდეს ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი.

3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონს ბელგიელი გ. რულანტსის გეგმები, ჩვენის აზრით, გადაჭარბებული უნდა იყოს. ბელგიელის განცხადებით, მან უნდა მოიგოს 3000 (წინაღობებით), 10.000 მეტრზე რბენა და მარათონი. მისი სიტყვით, მაღალმთიანი პირობები არ იმოქმედებს მის გამოსვლაზე, რომ ამაში დარწმუნდა შარშანდელ ოლიმპიადისწინა კვირეულის მსვლელობისას. მართალია, მალე 30 წლის გავხდები, მაგრამ გადაწყვეტილი მაქვს მონაწილეობა მივიღო 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებშიც, — თქვა რულანტსმა.

ავსტრალიელ სტაიერს, მსოფლიო რეკორდსმენს რ. კლარკს მართალია, უყვარს ჟურნალისტებთან შეხვედრა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, იგი არავითარ დაპირებებს არ იძლევა. რეკორდსმენი ლოდ დარბის, ვარჯიშობს. ოლიმპიური სოფლის სტადიონზე კლარკმა 5 კმ-ზე რბენაში აჩვენა 14.19,8. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადისწინა კვირეულში ამ დისტანციაზე საუკეთესო იყო კოლუმბიელი ა. მეხია — 14.20,0. როგორც კი კლარკმა რბენა დაამთავრა, საბჭოთა ექიმებმა მას სთხოვეს გადაეღო ელექტროკარდიოგრამა და გაევლო ერთგვარი სამედიცინო გამოკვლევა. მონაცემები შესანიშნავი იყო.

... მართალია ყველა ფავორიტს არ გაუღიმებს სპორტული ფორტუნა, მაგრამ ისინი მაინც გულმოდგინედ ემზადებიან მეხიკოს სტარტებისთვის. (საკდესი).




✦ მექსიკელი ველოსიპედისტები მზად არიან საბრძოლველად, — განაცხადა ნაკრების მწვრთნელმა, იტალიელმა ლ. კასოლამ. საინტერესოა, რომ იტალიური „წარმოშობისაა“ არამარტო მექსიკელთა მწვრთნელი, არამედ მთელი მათი ინვენტარიც: ოლიმპიადის მასპინძლებმა პოლონელებთან და იტალიელებთან ერთად უკვე ჩაიტარეს რამდენიმე წვრთნა სგზატკეცილო რბოლაში და შედეგებითაც კმაყოფილნი არიან.

✦ მექსიკა ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც პროგრამის ყველა სახეობაში გამოვა. ამერიკელები იასპარეზებენ სპორტის 18 სახეობაში. სსრ კავშირი, გდრ, გფრ, საფრანგეთი, იტალია და იაპონია — 17-ში. აშშ მეხიკოში გაგზავნის 421 სპორტსმენს. ეს მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობაა, II ადგილზეა სსრ კავშირი — 401, III მექსიკა — 327, IV გფრ — 311.

✦ კანადის ოლიმპიელ მძლეოსანთა ბოლო შეჯიბრების შედეგებით ეროვნულმა ფედერაციამ დააკომპლექტა ქვეყნის ნაკრები, რომლის დირსად სცნო 18 ვაჟი და 8 ქალი. გუნდშია ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ჰ. ჯერომი. მან წლეულს 100 მეტრზე 10,3, ხოლო 200 მეტრზე — 21 წამი აჩვენა. მის გარდა გუნდში შევიდნენ დომანსკი, მაკ-კენზი, მაკ-ლარენი, ვ. კროზერსი, დ. ბეილი და სხვანი.

✦ **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოლიმპიური გუნდის კიდევ 3 მძლეოსანი შეარჩია ქვეყნის ჩემპიონატმა მარათონულ რბენაში. მეხიკოს საგზურები მიიღეს ჰ. რისპერმა — 2:20.54, კ. ჰეინცზიერსმა — 2:21.0 და პ. ანგენვორტმა — 2:22.49,0.**

✦ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიელ მძლეოსანთა გუნდმა მეხიკოში წასვლის წინ ოდერზე მდებარე ამ ქალაქში გამართა ტურნირი. სპორტსმენებმა რამდენიმე მაღალი შედეგი აჩვენეს: კ. ილგენის ბადრო 61,12 მეტრზე დაეცა. ქვეყნის რეკორდსმენმა რ. შმიდტმა და კ. რიუგერ-შულცმა 180 სანტიმეტრის სიმაღლე დაძლიეს. სიგრძეზე ხტომა მოიგო ბ. ვეჩიორეკმა — 627 სმ.

✦ ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, რომ მეხიკოში წასვლის წინ გამართულ შეჯიბრებაზე ევროპის კონტინენტის ორგზის ჩემპიონმა ვ. ვარიუმ ბირთვი 19,15 მეტრზე ჰკრა.




**მძლეოსნურ სამყაროში სპრინტში კარგა ხანია ბატონობენ ამერიკელი ვაუები. მაგრამ ხანდახან მათაც გამოუჩნდებათ ხოლმე მეტოქენი, რომლებსაც ოლიმპიური მედლების განაწილებაში ერთგვარი კორექტივები შეაქვთ. ასე იყო XV ოლიმპიადაზე, სადაც ვერცხლი იამაიკელმა ჰ. მაკ-კენლეიმ, ხოლო ბრინჯაო ე. ბეილიმ (ინგლისი) დაიხაკუთრეს. შემდეგ, მელბურნში ამერიკელებმა მხოლოდ ბრინჯაო „დაუთმეს“ პ. ჰოგენს (ავსტრალია), რომში ოქროს ა. ჰარი (გერმანია) დეპატრონა. ტოკიოში კი ე. ფიგეროლამ (კუბა) და ჰ. ჯერომმა (კანადა) შინ ვერცხლი და ბრინჯაო წაიღეს. ვინ იცის, იქნებ წლეულს ამგვარ დავაში ვლადისლავ საპეია (სურათზე) ჩაერიოს და ერთ-ერთი რომელიმე მედალი მოიპოვოს: ისიც ხომ 100 მეტრზე რბენის ფავორიტად ითვლება.**

**მეხიკო, 25 სექტემბერი.** ოლიმპიადის მსვლელობის დროს მეხიკოს მრავალრიცხოვან პარკებში, ბულვარებსა და ქუჩებში ჩატარდება ხალხური ხელოვნების თავისებური ფესტივალი, რომელიც ოლიმპიადის კულტურული პროგრამის შემადგენელი ნაწილი იქნება. თავიანთი ხალხების სიმღერებითა და ცეკვებით გამოვლენ 24 ქვეყნის მსახიობები.

**პრაღა, 25 სექტემბერი.** როგორც ჩტკ-ს სააგენტო იუწყება, ამ ქვეყნის ოლიმპიური დელეგაციის პირველი ჯგუფის შემდეგ, მეხიკოს გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ნაკრები. ჩეხოსლოვაკიელები პირველ კალენდარულ მატჩს გამართავენ 14 ოქტომბერს გვატემალის ნაკრებთან.

**რიო-დე-ჟანეირო, 25 სექტემბერი.** ბრაზილია ოლიმპიადაზე წარმოდგენილი იქნება 80-ზე მეტი სპორტსმენით. ისინი გამოვლენ სპორტის 13 სახეობაში. ამ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სილვეიო დე მაგალიეს აზრით, ბრაზილიელები პრეტენზიას აცხადებენ 3 ოლიმპიურ ოქროს მედალზე, ესენი არიან: პანამერიკული თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ექსრეკორდსმენი ბრასის სტილით 100 მეტრზე ცურვაში 18 წლის ხ. სალვეიო ფიოლო, ქვეყნის ჩემპიონი „ფინის“ კლასის იახტებში ჯ. ბრუდერი და ცნობილი ცხენოსანი ნ. პესოა.

**ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი.** კალიფორნიის შტატის ქალაქ ლონგ-ბიჩში იაპონიის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა საკონტროლო შეხვედრები გამართეს აშშ-ს ნაკრებთან და გაიმარჯვეს ერთნაირი ანგარიშით — 3.0. ოლიმპიური ჩემპიონების, ფრენბურთელი ქალების უპირატესობა აშკარა იყო — 15:2, 15:7, 15:9. ვაჟებმა კი ასეთი ანგარიშით მოიგეს: 15:8, 15:6, 15:12.

**პოტსდამი, 25 სექტემბერი.** გდრ-ის მძლეოსანთა ოლიმპიადისწინა ბოლო შეჯიბრებაზე დ. ჰოფმანმა ბირთვის კვრაში აჩვენა 19,54 მ. ამავე სახეობაში ქალთა შორის ახალ მსოფლიო რეკორდსმენ მ. გუმელთან ერთად მეხიკოს საგზური მიიღო მ. ლანგემაც — 17,73 მ. ჰ. ლოშის ნატყორცნი ბადრო 62,10 მეტრზე დაეცა.

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ჯაფარიძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 უე 00898